№991/01-04 19.09.2016

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტთა ჩარიცხვის შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი ნაწილის, 53-ე მუხლის პირველი, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 58-ე მუხლის პირველი ნაწილის, მე-100 მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის "ა", "ბ" "ო" და "პ" ქვეპუნქტების, მე-9 და მე-15 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების ,,უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების / საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების /მაგისტრანტობის კანდიდატების / სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის, ,,აბიტურიენტებისათვის / მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის /სტუდენტებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების / საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 13 სექტემბრის №701, 14 სექტემბრის №705 ბრძანებების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ჩაირიცხონ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტები N1 დანართის შესაბამისად (დანართი N1);
2. ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში შესატანად გაეგზავნოს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.
3. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
4. ბრძანება ძალაშია დაინტერესებული პირებისათვის გაცნობისთანავე.
5. ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გადაცემა დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი დარეჯან თვალთვაძე

დანართი 1

დამტკიცებულია
სსიპ _ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
2016 წლის 19 სექტემბრის
№991/01-4 ბრძანებით

N	სახელი გვარი	მოქალაქეობა	პასპორტის №	ფაკულტეტი /საგანმანთლებლო პროგრამა/
1.	გიორგი ელიზბარაშვილი	რუსეთის ფედერაცია		სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; საერთაშორისო ურთიერთობები
2.	ანა კორშია	რუსეთის ფედერაცია		სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; საერთაშორისო ურთიერთობები

დაგზავნის ფურცელი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჩამონათვალი იმ ორგანიზაციებისა და პირების, ვისაც ეგზავნებათ
რექტორის ბრძანებების ამონაწერი

ამონაწერი №---------- "------" ----------2016 წ.

1	სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი	2	დ. კანდელაკი
2	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	1	თ. მახარაძე
3	საფინანსო დეპარტამენტი	1	ი. საღარეიშვილი

შემსრულებელი: ----------
(ხელმოწერა)